

მშენებელი

იუმორისტ.
ეჟურნალი

პატრონები

№ 5



ტრამვაი ქალაქის ხელში.

როგორც იქნა ეშველა თბილისის მოქალაქეთ. ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა! აღ. ივანიშვი ვატმანობა ისურვა, ვინაიდან იგია მიმართულების მიმცემი ქალაქის საქმეებისა. აღ. მიხაილოვიჩი, როგორც გამგე სადამშენებლო ნაწილისა უკვე შეუდგა ქვეყნილების შესწორებას. ბანი ჯაბარი, გამგე სასურსათო განყოფილებისა აღარ ზოგავს ზეთსა და ქვიშას, ოღონდ ტრამვაიმ ჩქარა იმოძრაოს. ბანი ეჟურული, საფინანსო საქმეს ჩაუდგა

და კონდუქტორის სამოსელში გამოეწყო. მეოთხე წვერი გამგეობისა ათბეგოვი, როგორც იურიდიულ საქმეთა ხელმძღვანელი საპოლიციო უბანში წაიყვანეს პირველი გაქვლუტილი ბავშვის შესახებ ოქმის შესადგენათ.

მოძრაობა გამოცილდ ხელში უკვე მოწესრიგდა. ვერის დადმართზე მხოლოდ სამი საათის ცდა საჭირო უწინდელ ოთხის მაგივრათ, სხვაგან კიდევ ნაკლები.

ქველმოქმედება

(შაბუღაძე ლექსი)

ქართულ სტენაზე კომედის მსახიობი ისეთივე საკვირველებია, როგორც, მაგალითად, პანაშვილი მრავალკამიერი.

ჩვენი აზრით, რომელიც იმით არის კარგი რომ ჩვენი, ხოლო ცული იმითია, რომ ამ აზრს, ადვილი შესაძლებელია, ჩვენს მეტი არავინ მიეზროს, ჩვენში ტრაგიკოსობა უფრო ადვილია, ვიდრე კომიკოსობა.

ჩვენი ცხოვრება—პოლიტიკურიც, საზოგადოებრივიც და პირადიც—ისეთი თვისებისაა, რომ ყოველგვარი გრძობის გამოწვევა შეუძლია ვარდა მზიარულების გრძობისა.

მართლაც-და, რაგვარ გრძობებს ანვითარებს ჩვენი ცხოვრება?

გახვალ ქუჩაში და გოროდოვოის დანახვაზე ცახცახი ავტანს ხოლმე: გრძნობა შიშის ზარას.

შეიხვედა რომელსამე საზოგადოებრივსა და კულტურულ დაწესებულებაში და გულზე ლოდი დაეწევა და უელში სისხლი მოვადგება: გრძნობა უადრესი შუჭსარების და ლაშფოთებულა გულის წურამისა.

სახლში დაბრუნდები და—შომშობი და სიცივე დაგხვდება კარბში: გრძნობა ფაზაირი ტანფისა.

მოდი და ნუ გახვდები ტრაგიკოსი ასეთ პირობებში!

არა, ქეშპირიტათ, ტრაგიკოსობა ძლიერ ადვილი რომ უნდა იყოს ქართველი მსახიობისათვის.

მით უფრო ძლიერი ტაშისა და ვაშის ღირსია ჩვენი ელბლიარი, ღიზი ჩერქეზიშვილის ქალი, რომელიც 30 წელიწადია გულიანათ აციენებს ამ ნიადაგ დამფრთხალს, აღშფოთებულს, დამწუხრებულსა და დამშეულ ხალხს...

და თუმცა ღიზის—ვერ დავმზავთ—ბრალოთ ედება

გულ-შესახარი, საარაკო რომ მოქმედება, ენის უთქმელი, ვასავანათ ვასაოცია
(—კაცი და ქალი უთვალავი, ასჯერ ოცია ქართულ თეატრში მას სიცილით დახუხუცავს), მაინც გვგონია, რომ დღეს იგი მისალოცია.

ბატონებო!

დღევანდელი „საღამოს“ სახელწოდება და მიზანი გვევალეს, შეძლების დაგვართ გამოვიკვლიოთ არის ანუ რაობა ქველმოქმედებისა, გავაშუქოთ და შევიწყვლოთ ყველა მისი მზარე და ავწონოთ მისი მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქველმოქმედება ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა.

პირველი საქველმოქმედო დაწესებულება იყო ელემი, რომელიც დააარსა ძველ დროში სახელგანთქმულმა ქველმოქმედმა მამა-ღმერთმა მესოპოტამიაში ადამიანის გაჩენისათანავე.

სამწუხაროთ, არც წესდება და არც ოქმები ამ საქველმოქმედო დაწესებულებისა დღეს-დღეობით ჩვენს ხელთ არ არის, და ვინაიდან ყველა ეს მასალა ქ. შ. წ. კ. გ. ს-ბის საგამომცემლო სექციას უწყევია უჯრაში გამოასაკებოთ, წინ და წინ არც იმისი თქმა შეგვიძლიან, რომელ საუკუნეში დაიბეჭდება და გამოქვეყნდება სხენებული საყურადღებო მანუსკრიპტები.

მაინცა და მაინც ჩვენ საშვალევა გვაქვს, ბ.ბ., მოვწოდოთ თქვენ მკირე რამ ცნობები შესახებ ელემის ორგანიზაციულ წყობილებისა.

გამეუბოს მთელ შედგენილობას თავმჯდომარისა და მდიენითურთ წარმოადგენდა მხარტო დამარსებელი ამ საქველმოქმედო დაწესებულებისა.

მუშაობა სწარმოებდა მეტად მწყობრათ და მუყაითად, ყველა საკითხები ერთხმით და უდაურათ წყდებოდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეს საუცხოვო პარმონია ვისმე დაერღვიოს.

ამისდა გვართ ელემი იყო იდეალური და სრული საქველმოქმედო დაწესებულება, მაგრამ ასეთ დაწესებულებათა სეერთო ბედს ვერც იგი ასცდა: ელემში მოხდა საოცარი ბოროტ-მოქმედება და მთავრობის განკარგულებისამებრ საშუადამოთ დაიხურა.

არც გაულანგული თანხის რაოდენობა და

* ამ ლექციის წაკითხვა სცადა ავტორმა ქართ. საქვ. საზ-ბის საღამოზე, მაგრამ ვინაიდან დამსრუები საკმაოდ მზადადებულნი ვერ აღმოჩნდნენ, ლექციის კითხვა შუაზე შესწყურტა და გულდატეხილი გავიდა სცენიდან.

არც გამოვლანგველთა ვინაობა ჩვენ სამწუხაროთ არ ვიცით, გარნა ის გარემოება, რომ დახურულ დენებს შეიარაღებული დარაჯი მიუჩინეს, ხოლო ბოროტ-მოქმედების მიზეზთა ერთი ვაშლი გამოაცხადეს—საბუთს ვვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს თანხა ძლიერ დიდი ყოფილა და ბოროტ-მოქმედებაც მმართველ წრეებში ჩაუდენიათ.

ამ სამწუხარო ცდამ მამა-ღმერთს გული გაუტეხა და მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ სცადა მან საქველმოქმედო მოღვაწეობა.—ეს მამაშინ, როდესაც ებრაელებს ტკბილი მანანის თოვლი მოუვლინა— მაგრამ უზრდელმა ადამიანებმა ვერ შეიღირსეს მომადლებული სიკეთე:—ღმერთი დაგვიცინისო, სთქვენ მათ: ჯერ სადღოი არ უქმევია და ამ მშვიერ კუქზე ტკბილები წამოგვიწყუო.

ამის შემდეგ ღმერთმა საბუღამოთ აიღო ხელი ქველმოქმედებაზე, და ქველმოქმედება ადამიანთა მოღვაწეობის მნიშვნელოვან დარგათ გადაიქცა.

ამ უამათ ქველმოქმედება ჩვენი ცხოვრების ერთ უმთავრეს ღერძთაგანს წარმოადგენს და მის ახასიათებს სამი მთავარი მომენტი, რომლებსაც ვთხოვთ, ყურადღება მივაქციოთ, ბ-ბო! ეს სამი მომენტი: საქველმოქმედო თანხის შეგროვება, ნედლი თანხის დაწმენდა და საკუთრივ ქველმოქმედება.

საქველმოქმედო თანხის შეგროვების ყველაზე უფრო ვაგრცელბული წესი, ბ.ბ., ეგრეწოდებული ნებაყოფლობითი შეწირულება არის.

ჩვენს დროში ამ ნებაყოფლობითი შეწირულების რედა ირის ის ვახლავეთ, რომ გამოხალთ დღე არა ქუჩაში, იმ წამსვე ერთი წყვილი ქალ-ვაჟი გზას ვადგილობავს, საოცარის სისწრაფით მოგაბნევთ გულზე რაღაცას და ადგილიდან ფეხს არ დაგაძვრევენებთ, ვიდრე ნება ყოფლობით არ ჩაუდებთ ყულამში თქვენს შეწირულებას. ვადღებთ რამდენსამე ნაბიჯსა და ეხლა მეორე წყვილი ქალ-ვაჟი მოვკურთხის გზას, ჩავიკობთ სადილში რაღაცას და თქვენს ნება-ყოფლობით მიიღებს თქვენს შეწირულებას. როცა მესამე წყვილს მოჰკრავთ თვალს, გაქცევას დააპირებთ, მაგრამ ამოთ: ისე მაგრათ ჩაგებლაუქმებთან კალთებში, რომ თქვენ იძულებული ხდებით პალტო ხელში შეატოვოთ, ოღონდ კი თავი გაინთავისუფლოთ. შემდეგ ისეთივე ბედოი მოვლის თქვენს პიჯაკსაც, ყიღეტსაც, და ქუჩის ბოლოში რომ მიადწვთ ისეთი სანახავი

ხდებით, რომ მრავალ ტანჯულო ნიბზე გვეყათ მეტი საფუძველი გაქვთ წამოიძახოთ: უთით მე შეშველი გამოვალ მუტლითგან დენდასა ჩვენსა და შეშველიცა ვანვიდე მუნვეა“.

აი დამთავრდა შეგროვების პროცესი და თანხა მზათ არის.

სწორეთ აქ იწყება ის საარაკო, მეტად ძნელი და რთული მუშაობა, ურომლისათ ქველმოქმედება წარმოუდგენელია და რომელსაც საქველმოქმედო თანხის ვადარეცხვა ანუ ვანწმენდა ეწოდება.

საქმე ის ვახლავთ, ბ-ბო, რომ ახალ შეგროვილი თანხა ნედლ მასალას ასუ ნედლ თანხას წარმოადგენს და ამ ნედლ თანხაში ნამდვილ საქველმოქმედო თანხის აღმოჩენა და ვადარეცხვა ისევე ძნელია, თუ უფრო არა, როგორც, ვთქვათ, ოქროს მადანში წმინდა ოქროს ნამცეკების ამოკრეფა. მოგვხსენებთ, რომ ნამდვილ ოქროს უნდა გამოეყოს და ჩამოშორდეს სხვა ვარეშე ლითონები და ნივთიერებანი. წმინდა საქველმოქმედო თანხასაც უნდა ჩამოეცალოს და ჩამოეთალოს ზედმეტი და უუვარგისი ნაწილები. და როგორც 100 ფუთ ოქროს მადანში ძვირათ თუ ეს მისხალზე მეტი წმინდა ოქრო გამოიარეცხვა, ისე 100 თუმან ნედლი თანხიდა 10 თუმანზე მეტი ნამდვილი საქველმოქმედო თანხა ვერ დადგება.

ქველმოქმედების ამ უპირესათ დამახასიათებელ შრომას ეგრეთ წოდებული „საქველმოქმედო თანხის მთელელები“ აწარმოებენ და მათი პროფესია ისეთი უმაღლური, რომ ხშირათ ხანგრძლივი და თავგანწირული შრომა სულ ფუჭთ ჩაუვლისთ ხოლმე და ნედლ თანხაში ნამდვილ საქველმოქმედო თანხის ნატამალიც არა რჩებთ.

ეხლა ბ.ბ., სიტყვა მიდგა ქველმოქმედების ობიექტებზე, რომელთა შორის უპირველეს ყოვლისა მისწავლე ახალ-ვაზლობას მივაქცევ თქვენს ყურადღებას. ქველმოქმედება ამით ვ. წ. სტიპენდიების სახით ევლინება. ვინაიდან მუყათის, ნიქიერი და პრინციპიანი სტუდენტი ყოველთვის ადვილათ ვაიკავავს გზას, რა გინდ ხელმოკლე და ლტაკი იყოს, სხვისი შველა და დახმარება მის არ ეუბრება. ამათვის ქველმოქმედება თავის თანხის ვერ ვაფლანავს. სულ სხვაა ის სტუდენტები, რომელნიც ბუნებით უნიკონი არიან, გზა აბნევიათ და ლოთობისა და ზანქის თამაშის მეტსარას აკეთებენ. აი, ამათ სტიკია სასწრაფო და უხვი

დანმარება. ამის მიხედვით ქველმოქმედებას სსტიკი და თან უაღრესთა სამართლიანი წესი აქვს დაკანონებული: სტიპენდია ენიშნება მხოლოდ იმ პირთ, რომელთა შესახებ უტყუარი და დაწვრილებითი ცნობებია შეკრებილი. ამ ცნობებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ სასტიპენდია სტუდენტ ბუნებით უნიკია, შთამომავლობით—ლოთი, მიმართულებით შეგნებული ბანქოს მოთამაშე...

თუ რომ ფართი, თვალსაზრისით შევხედავთ დღევანდელი ლექციის საგანს, ჩვენ დავინახავთ, რომ ქველმოქმედების მიზანია აღმინის ყოველგვარ ტანჯვათა შემსუბუქება.

თქვენ, ბ. ბ., არც კი შეგიძლიანთ გაითვალისწინოთ ის საშინელი ტანჯვა. რომელსაც ვინიცღის, მაგალითად ბანკის ვინმე მსხვილი მოხელე, როდესაც მას შამანიური და ზღვის ლოკონა, ანუ უსტრიკები შემოაკლდება. კიდევ უფრო ძნელია წარმოდგენა იმ სახარელ სულიერ ტკივილებისა, რომელსაც თუნდ ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურე ინჟინერი გრძობს, როდესაც მას მოდერნის ყაიდაზე აგებულ საკუთარი სახლის შექმნის მძაფრი სურვილი აიტანს და სათანადო თანხა კი არ მოეძებნება. ხოლო ტანჯვის იმ შემზარავ ქარტეხილს, რომელიც საინტენდანტოს ბოზოლას შეიპყრობს მაკეკვარი ქალის ვნებათა ამშლელ ტირველი მზხლის დანახვაზე— ამ საზარელ სულიერ გრაილს ხომ ვერც უნიკიერესი ფსიხოლოგი ასწერს. და ვინ იცის, როგორ გააპარტახებდა. ამ ბანკის მოხელის, თვითმართველობის ინჟინერის და საინტენდანტოს ბოზოლას არსებას ზემოხსენებული ზნეობრივი ტანჯვა, რომ თითოეულ მათგანს სწორეთ სულზე არ უსწრებდეს თავთავიანთ დაწესებულებათა ქველმოქმედება. პირველს—ვეგრეოდებ ული ვასტრონომიული, მეორესს—სამაქტიუტურო, ხოლო მესამეს რომანიული. და აი, ჩვენ ვხედავთ, ყოვლის შემადღე ქველმოქმედება თვალის დახმხამებაში სპობს მათ ტანჯვას და ბანკის მოხელე შამანიურსა და უსტრიკებს შეექცევა, ინჟინერს საკუთარი სახლი აქვს მოდრნის ყაიდაზე აგებული, ხოლო ინტენდანტს იმ მაკეკვარი ქალის ტირველი მუხლი შეუქნია

ამისდაგვართ თითქმის ყველა საზოგადოებრივს, აღმინისტრაციელს, სახელმწიფოებრივს და კულტურულ ინსტიტუტებს ჩვენ თამამათ შეგვიძლია სპექტლოქმელო დაწესებულებანი ვუწოდოთ,

რამდენათაც ისინი თავიანთ მოხელეთა ზემოთ დახასიათებულ ტანჯვათა შემსუბუქების საქმეს ემსახურებიან.

თავუნა

მამალი და ცხვარი.

(იგუა)

ერთხელ მამალმა ცხვარს უთხრა: „სულელი რაა ხარო, ყველასაგან დასაბრკევი, საძრახი და სამასხარო.“

შენის მატყლით, შენის ტყავით, შენის ხორციით, შენის რქითო კაცის ზრული მეხარკე ხარ, ვსარგებლობენ ყოვლის მხრითო; და დაღიხარ ქვე წახრილი ყველას მონა, ყველას ყმაო, არვის ესმის შენი კენესა, შესაბარალი შენი ხმაო.

მე კი მაინც ამაყი ვარ, ვაბედულიც დიდათაო, არც საქმელათ დიდს ვარგებ კაცს და არც ვასაყიდათაო.“

ცხვარმა უთხრა: „სულ ერთია! ჩემსას რით სჯობს შენი ბედი? მართალია, ტუტუცი ხარ, ამაყი დე მასთან ყბედი, თორემ ისე, პატრონისთვის, შენც მეხარკე ჩემებარ ხარო, შენც ჩემსაგან დაბალ-ლომე, საკბილო და სამასხარო.“

ეს რომ ყურშემ გაიგონა, გღლიქცა მთლად სიცილით, ჩაერია ცხვარს და მამალს და მათ მოახსენა ფრთხილათ:

„საცილო და ვასაყოფი ერთიანეთში რა გაქეთ თქვენო? არც შენ, ცხვარო, დიდი რამ ხარ და; მამალო, არცა შენო.“

აქ საქები არც ერთს არ გაქვთ, გირჩევ: ისევ დაწყნარდეთო, რომ მეტის მეტ თავის ქებით საფრთხეში არ ჩაყარდეთო.

არის რალა! კაცო, იმის ცხვირს რომ შეხედო ფარ- შიროვანი ბადრიჯანი გეგონება. არა, ეს ჩვენი ხალხის საქმე მაკვირვებს ქრისტეს მადლმა! ქრისტიანო, ვინაა თუ არა შიკობა! რომ სუნავ, რას სუნავ, ღუფია თუ ლადიკალონი! მიდი, მიაწეკი, დაფარე სიფათში, რომ თვალებში ორმოცდაათ სანთლიანი ქალი დაუნთო. მაზების და ღუზების სუნვა მე ვალაფინწყებ და მუშტიად- ში მინახავს! ეხ, მახლას!

გოგია.

ონისიმე.

მარტირუხას ჩივილი.

ვა, ვა, ვა, ვა! ეს რა ამბავია, ქრისტიანო, ეს რანაირი ვინაა ვა? კაცი რომ დაფიქრდეს თავი თუ საცხემ პუსტოი არა აქვს, ჭკვიდან შიშლივ- ბა უფლის მადლმა!

ადამიანო, ისტორიაშიც არსებ- და სწერია და, ვა! ქვეყნის წიგნები გადაკითხული მაქვს: ეს ყარამანიანიო, დავრიშიანიო, ას თავიანი მდევის ამბები, ხემწიფის შვილის ზღაპარი, ჰაჯი- ბაბა, ტანგო, ბარაშკა, ოქროს ფეხი და არსად ლემენცების ვაჟ-კაცობა არა სწერია! ნუფეელი გა- ბერილმა ლემენცმა ეს დღე უნდა დავაყენოს! იხახან იარაღი აქვს ბევრიო, მაგრამ არა მეჯრა. მე ჩემ დღეში ლემენცების ტანზე იარაღი არ დამინახავს. ვანა ჩვენი კნიაზების ტოლა იარაღი ვინ- მეს ექნება! შაშკა, ხანჯალი, ლევროვი, დამბაჩა... ერთი სიტყვით მთელი არსებანი ჰკიდიათ რალა ზედ. ამ იარაღის პატრონებს ნუფეელი ლემენცები უნდა მოგვეჩინენ! არ ვიცი უფლის მადლმა რა- ლა ვიფიქრო!

არა, ამ არამზადებს ეს სასუნებელი რალა მოუგონათ! ამბობენ რალაც უდიშლიტლნი გა- ზიანო. თურმე თუ უსუნე, როგორც მოწამლული თევზი, ისე ამოტრიალდები გულადმა! პრამა უდი- ვიტენა ეი ბოლუ! თურმე იმ ვაზს რომ გამოუშ- ვებენ რაც უნდა ვაჟ-კაცი იყო სრაზუმ მიდხარ რალა საიქიოს! აფსუსი არ არის ჩვენი ეშაკ კარა- ბეტა, დავრეხილუა, სინკა, მუტრუკ მიკიჩა რომ რალაც სასუნებელმა მოკლას! არ ვიცი, არ ვიცი იმათ ცხვირს რა მიეკარება. მერე მუტრუკ მიკიჩას ცხვირში თუ იმან გაატანა დავლუშლვარათ და ის



მესტვირული.

(სოფ. ჭავჭავაძისთვის).

თუმცა ლექსების წერაში, ბლომათ მომავო მტერია. აქეთ ნინიჩქა განრისხდა და იქეთ ვლადიმერია. აღარ იამათ „უჩიტლტებს“, „მითრანში“ დანაწერი და თხაკურობენ რალაცას, ვით თავი დანაქერია ხან სულში ჩივილს ლამობენ, ხან სურთ შეყრობა ჩემია. მაგრამ მე მათი მუქარათ, წარბიც არ შემირხვევია. მე მიინც ჩემსას განვაგრძობ, თუ გინდ ღამიკონ პირია,

ამკიღონ ჯგარი წამების,
დამირთონ კირზე კირია.

და ჰა, კვლავ ვიღებ ქამანჩას...

მედება ცეცხლი მწველია,
იქნება ამით ცოტა ხან
შემაშრეს ოფლი ცხელია.

მიხსენ, ეშმაკო, თუ სადმე
შემემთხვეს ვანაყდელია.

პირველად მოვიხსენიებ,
ვინც უფრო საკითხავია,
ვისაც ფეხებზე ჰკიდია
სოფლის ბოლო და თავია.
ვისაც არაფრათ არ უჩანს
მისი ტანჯვა და წყლულია
ეშმაკს ეუფულოს ამგვარი
ადამიანის სულია.

ღრო არის, უნდა ვიბრუნო
პოლიციისკენ პირია,
აქ ურიცხვი მიქვს საამბო,
თუ არ დამატყდა კირია.

მამასახლისი საბაი
უნდა შევაქო მწარეთა,
(უფალი თუ შემეწია,
და გამოვიდა გარეთა).
რაც იმან სხეები აწამა
თავისი „დინჯი“ თავითა,
სამაგიეროს გადახდა
ეკუთენის უროს თავითა.
მწერალი მამასახლისობს,
ნუ თუ ვერ ხედავს ამასა?
ხალხი მას არ სჯამს, მამ თითონც
დაეხსნას ხალხის ქამასა.

უენებლათ თუ კი ვაღურჩი
მათ პოლიციურ კლანჭებსა,
შემდეგ არაფრათ არ ჩავთვო
წინანდელ დარდს და ტანჯვებსა.
თავქუდ მოგლეჯით მოვკურცხლავ,
მთელი ძალით და ღონითა
სად ღობეს გადავხატები
ტალახს გავკურავ ფონითა.
მღვდლის ქუჩას მოვიჩახულებ,
ჩხუბი რომ ხდება ხშირათა,
ქალები ერთი მეორეს
რომ ახტებიან ქირათა.

ამა, კვლავ, ჩემო გულუნავ,
ღაწყვე მღერა წე-ია,

„ბარიშნებს“ ჩამოვუარეფე
როგორც ეშმაკი მელა...

და მივხალათ უმაღლე
სიტყვები საკადრელია:

თუ კიდევ უკუ არ ავდეს
უგვენო საქციელია,
აცხვებს და აცხვებს ღამ-ღამე
ხაკაპორები ცხელია;
თუ კიდევ სიცილ-ხარხარით,
აიკლეს ქუჩა მთელია,
არ მოიშალეს არღანზე
ცეკვა, თამაში ძველია,
„მაშინ მიყურეთ, თუ როგორ
გავკრა მათრახი მწველია.

ჭაგნელი ბზიკი.

მ მ რ ა ლ ა

არ ერიდება პირველი

არც მსხვერპლს, არც სისხლის ღვარებსა,
სასტიკად უღვეს ყოველ მხრივ
და იფართოვებს ზღვარებსა.

რაიც აქვს, იგი არ ყოფნის,
კიდევ ზედ მეტი სწადია
(სადილი რადგან „მიირთვა“,
დესერტს დაეძებს, ცხადია).

მიტომ მის თვისი მეორე
ჩვენსკენ აქვს გამოწვდილია,
(წართმევა მითვისებაში
ის კარგი გამოცდილია).

და თუმცა იგი დღეს კიდევ,
ღიდი ძალ-ღონის მქონეა,
მანც დესერტის ძებნაში
თავიც წაავოს მგონია.

აწ პირველს სადაც უნახავთ
ასოს თანხმობას წყვილად,
რომელიც თავში იქნება
ჩამოვაშორებთ ფრთხილად.

მაგრამ მეორე ნაწილს კი
ნუ მოგვეპრობით ცუდითა,
მხოლოდ ჩვენ ასო პირველი
მას გამოვებით კუდითა.

და ის გამოვა, რასაც ყავს
ურიცხვი ჯარი მცველად...

სახელმწიფოებს, მარადის რაც უძვეს საფუძვლად.

ქართულ პრესაში, ბოლო დროს, მასზე კამათი ხშირია... (მის ხსენებაზე ესფერებს ნერწყვით ევსებათ პირია).

კვაიბი.



ფ რ თ ი.

ტარტაროზის რევიზიამ აღმოაჩინა სამი სხვა და სხვა პირზე მიწერილი შანტაჟის წერილი. როგორც ავტორები ისე მიმღებლებიც წერილებს დიდს საიდუმლოებით მიაღვდენ. რევიზორი უჩრევს წერილის მიმღებლებს: ნუ დაეძებთ „შვამიავლის“ საშუალებით შანტაჟისტებს მოსარიგებლათ, რადგან არაფერ იცის: სად იწყება „შვამიავლი“ და სად თავდება შანტაჟის ტიო. უნდა მიმართოთ კანონისა და ხალხის საპართალს, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველანი ერთად გადაეცემით ჯოჯოხეთს გასამათრახებლათო.

ქალაქის აფთიაქის რევიზიამ გამოარკვია, რომ ბ-ნი გამგის სამსახურიდან დათხოვნა ტყემალაძის პირადი საქმე ყოფილა და არა გამგეობის დადგენილობა. ტყემალაძეს „პრიკაზიცი“ გაუცია: „გამკეს „ვიდვორით“ უყავიო აფთეკიდანო“, რაზედაც პასუხათ მიუღია: „ნე ნუჟდაემისა“-ო. ტარტაროზის განკარგულებით გამგე თავის ადგილზე რჩება თვითმმართველობის სხდომის მოწვევამდე, ხოლო ტყემალაძეს ებრძანა: თავი დაანებოს გეროზეცისკისთან „კომზინაციებს“ აფთეჟის საქმეზე, საინა ხმოსანთა კრება დადგენილებას გამოიტანდეს ამ საქმის შესახებ.

იავულოვ-საბახტარიშვილის პროცესში რევიზიამ კიდევ აღმოაჩინა ორი მომჩივანი და სამი მოპასუხე, რომელიც აწი დაიწყება. ყოველივე ეს გამოუწვევია იმ მოწამის როლს, რომელიც ბ-მა

ტყემალაძემ იკისრა ამ საქმეში და რომლითაც მომჩივან-მოპასუხეთთან ერთად იცის თანოც მოინდურა საზოგადოებისგან საჯარო ჩვენებანი.

რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე „ლექტორ“ ამალეღვებელის (სტიპენდიის ძებნამდე ამაღლობელი) „ლექციანე“ 6 მსსენელი (4 თანამოაზრე და 2 მოწინააღმდეგე) 2 თანამოაზრე პირველ ნაწილის შემდეგ მიიმალა, დანარჩენი 4 ბოლომდე შერჩა „ლექციას“. „ლექციიდან“ თანამოაზრენი ძლიერ ნაწყენი და მოწინააღმდეგენი ძლიერ ნასიამოვნები დაბრუნდენ. მეორე „ლექცია“ ამალეღვებელისა მსმენელთა სრული დაუსწრებლობის გამო არ შესდგა და გადაიდვა ეროვნული მუშების ჩამოსვლამდე, რომლებიც მედიატორების საქმებრათ არიან წასულნი სიმონ გოგინბერიძის გასასამართლებლათ.

ეროვნულმა მუშებმა მიიღეს თავის პარტიის ში ღიმიტრი გუბელაძე, რომელიც დასელებმა სხვა და სხვა შანტაჟის მოხდენის შემდეგ მოქმედების კვალობაზე „დააჯილდოეს“. ამავე გუბელაძეს გადასცეს ეროვნულმა მუშებმა ეროვნული გაზეთების საეროკლებლათ, რასაც შესაფერით ასრულებს გუბელაძე. იმარჯვებს ეროვნული იდეა, გუბელაძე მიემბა მათ.

ბუტუნას სააგენტო.



მ ი ლ რ ვ ი ა დ

ქვეყნის
კულტურა



გრიგორი. მაშ ასე! თითოს მორჩება თითო არშინი. არშინი რა ნაჭერია.

არკადი. ხეს რომ იყიდი ნაფოტიც ხომ შენია, წავიდეთ ავილოთ.

არკადი. გრიგორ! ერთი შეხედე ამ ჯარისკაცსა!

გრიგორი. რა იყო? ვითომ რაო?

არკადი. ერთი მაგის „შინელს“ დამიხედე, როგორ მღვდლის ანაფორასავით დაათრევს.

გრიგორი. მართლაც დახედე, დახედე! ფეხებშიაც რო ებლანდება და სიარულს უშლის

არკადი. გრიგორ! იცი რა ვითხრა?

გრიგორი. აბა!

არკადი. შე მგონია ეს სასარგებლო უფროა, ვიდრე საზარალო.

გრიგორი. აჰაჰა! წავიდეთ დაუფიქრდეთ.




გრიგორი. ეს ნაჭერები სადღა წავილოთ?

არკადი. იი თუნდა ჩემს მალაზიაში დაჰყარე საღმე.

გრიგორი. მოდი ერთი ვიზიტკებიც შევიკროთ.

არკადი. მე ვიცი მშვენიერი პორტნოი.



შოფერი. აქ მიბრძანებ გაეჩერო?
 არკადი. შესდექ.
 გრიგორი. მეძვირე?
 არკადი. როგორც ყველა.
 გრიგორი. ქურდია?
 არკადი. როგორც ყველა.
 გრიგორი. გასაოცარია პარტნოი რატომ ყვე-
 ლა ქურდი უნდა იყვეს?
 არკადი. შევიდეთ.



ნატვრა

(დადი ვასაშვილი გლეხის)

ნეტავ მანატრა, მანატრა,
 ეს ნატვრა ამიხთებოდეს;
 ჩვენი მღვდელი და მთავარი
 ქელესში არა თვრებოდეს.
 ამ ჩვენსა ქსენონ-აფთეაქს
 ვარგისი გამგე ჰყოლოდეს,
 არ აკლდებოდეს წამლები,
 თაყ-თაყის დროზე ჰქონოდეს.
 (და თუ მიაკლდეს მასლა
 საწყობებიდგან მოჰქონდეს,
 კომიტეტების დუქნიდან
 ძვირათ არ დაგვიჯდებოდეს).
 ნეტავ მანატრა, მანატრა,
 ეს ნატვრა ამიხთებოდეს:
 „ქუზნის“ ფულები; ღარიბ გლეხს
 ზედ მეტი არა გვხდებოდეს...
 გამწვრელთ, ბოროტებასა
 აწ ბოლო მოეღებოდეს,

მკერავი. ხო არ გიჭერსთ?
 არკადი. ცოტა მოუშვით, ეს მეტის მეტი
 საფრანტო იქნება.
 გრიგორი. არკადოჯან, რაღაცა მუცელი
 მგერემს, მე წავალ შემდეგ შამოვილი.
 არკადი. აბა რა დროს ეგენია.
 მკერავი. შოითმინეთ ბატონო, თქვენც ეხ-
 ლავ გიანთავისუფლებთ.

ზედ მეტი, ანაბოჰავი
 კლავ გლეხებს უბრუნდებოდეს.
 ჩარჩი შოვაჰრე მოხელედ
 სოფელში არა გვეყოლოდეს,
 ყრილობის დროსა მყვირალანნი
 სრულიად ჩამოგვთხოვოდეს.
 ნეტავ მანატრა, მანატრა
 ეს ნატვრა ამიხთებოდეს,

მირონიის დუქანში
 კარტ-ნარი მოისპობოდეს.
 უსაქმო ქალი და ვაგი
 ფოსტაზე არა მობობდეს.
 ყოველი ფოსტის მოსვლისას
 უქმად არ ლაზლანდარობდეს.
 კიდევ მანატრა, მანატრა,
 ეს ნატვრა ამხობვიოდეს
 ეს ჩვენი კოპერატივი
 დროითი გაიხსნებოდეს.
 ჩარჩების თარეშ, გლეხოზა
 ცოცხალი გადარჩენოდეს,
 ქუთათურ „მეგობრისტები“
 ვაჭრებს არ ჩამორენოდეს.

ციკოლა ბიჭი.

საარჩევნო ციებ-ცხელება.

ერთ მოქმედებთან ვოლველიო.

(მოქმედება წარმოებს ქ. ვარშა.)

სურათი მესამე.

ლორდ-მერ კიტტი. ბ-ბო! მერის ადგილზედ
 ორი კანდიდატი იდგამს ულის. სერ კიკიანო და
 სერ გრიგოლიანო. არჩევნები იწყება.

ბმოსანი. (მოკრძალებით) ბ-ნო ლორდ-მერ!
 თქვენი მერის არჩევნებში მონაწილეობას იღებთ?

ლორდ-მერ კიტტი. (ყვირილით) რაო? მერე
 რა თქვენი საქმეა? ხედავ ამ წიგნს? (უჩვენებს „ГО-
 РОДОВОЕ ПОЛОЖЕНИЕ“-ზე).*) ხმა ჩაწყვიტეთ ემ
 სათში!.. (ესტრის ამ ვებერთელა წიგნს ხმოსანს,
 მაგრამ არ მოხვდება)

მისტერ პარმენო პროვოკაცია. (ცბიერი კი-
 ლოთი) ბ-ბო! ამ სამი წლის წინდ მე და ეგ ხმო-
 სანი ლიახზედ რომ საბანაოდ მივდიოდით. გავე-
 ბით ლაპარაკში. მაშინ იგი საშინლად ლანძღავდა
 ხმოსანებს და ჩვენ საყვარელ ლორდ-მერს, ეხლა კი
 თვითონ ხმოსანია.. (გაისმის საშინელი ტანის
 გრიალი)

ხმოსანი. პროვოკატორ!

ლორდ-მერ. (ზარსა რეკავს) მე თქვენ ლაპა-
 რაკის ნებას არ გაძლევთ! დევდეთ! გაეთრიეთ!
 ჩქარა გაეთრიეთ გარედ!.. (იხსნის ჯაჭვს და ესე-

*) მე როგორც სრულ წლოვან მოქალაქეს ნება მაქვს
 არჩევნებში მონაწილეობა მივიღო.

რის შიგ თავში ხმოსანს, რომელიც თავსისხლია-
 ნი ვარეთ გაჰყავთ).

სანჩო-პანჩო. (ხელს აართევს ლორდ-მერს და
 რაღაცას ულოცავს).

ლორდ-მერ კიტტი. (ხმა მალდა) დამშვიდდით
 ბ-ნო! აიღეთ სათითაოდ კენჭები და შეუდევით
 თქვენ საქმეს. (ხმოსანები სათითაოდ იღებენ კენ-
 ჭებს და ჰყრიან ყუთებში. ამ დროს შეუმჩნევლად
 შემოიპარება კარებში ხმოსანი, ჩაუგდებს სერ-გრი-
 გოლიანოს თეთრ კენჭს და ისევ გავა ვარეთ).

სენიორე რიჟიანო. (აღელვებით და ხმა მალ-
 და).

ბ-ბო! სმენა იყოს და გავიგნება! ერთი, ორი,
 სამი... (სთვლის კენჭებს და აცხადებს არჩევნების
 შედეგებს) სერ-კიკიანოს ამოუვიდა შეიღ თეთრი,
 სერ-გრიგოლიანოს—რვა. მაშასადამე, ქალაქის ახალ
 მერად არჩეულ იქნა სერ-გრიგოლიანო. (გაისმის
 საშინელი და გულის შემზარავი ღრიალი. ლორდ-
 მერ კიტტი ტირის და ხელ-ცახოცით ცრემლებს
 იშრობს. სანჩო-პანჩო წამლებით აბრუნებს ლორდ-
 მერს. რიჟიანო და პარმენო პროვოკაცია გაეკირ-
 ვებულნი შემზარებლად ერთმანეთს. ანბანიძეს უ-
 ლი მისდის და ლაზარეთიდან მოტანილ „სუპით“
 ასულიერებენ. სენიორე კლიმოია და სენიორე გა-
 ჩეჩილი ქუაზედ იშლებიან. მოწყალეების დებს
 და მანდილოსნებს „ისტერიკა“ მოსდით).*)

ლორდ-მერ კიტტი. (გონებას იკრებს და ხმა
 მალდა ყვირის) ბ-ბო! დამშვიდდით! ვფიცამ ჩემ
 ჯაჭვს, რომ სერ-გრიგოლიანო ქალაქის მერი არა-
 სოდეს არ იქნება. ნუ გეშინიანთ! ჩვენ ზომებს
 მივიღებთ!..

სანჩო-პანჩო. (ქეითინით) ვაიმე ჩემო სამ-
 შობლო! მშვიდობით ჩემო „აფთაქაო!“

სენიორე რიჟიანო (აღელვებით) მშვიდობით
 ჩემო მამულო!

მოწყალეების დანი. (ამოიხსრავენ) ეჰ!..

მისტერ ანბანიძე. (აცრემლებული) მშვიდო-
 ბით ჩემო საყვარელო „სუპო და კატლებო“.

მანდილოსნები. (ერთხმად) მშვიდობით და-
 ლუპულო სამშობლო!

სერ-გრიგოლიანო. (რაღაცის თქმა უნდა.
 პირს აღებს მაგრამ ამ დროს უეტკრე გაისმის სა-
 შინელი ღრიალი. „ქარაუღლად ქართულად!“ ან-

*) სწორედ ამ დროს მისტერ გვეჯლი თავის კაბინეთ-
 ში კვრცხებსა სთვლიდა. შეიტკობს თუ არა დევნით ამ ამ-
 ბავს, ქუაზედ იშლება ისიც.

ბანიძე სიბრაზით თავის ფოტოგრაფიულ აპარატს ამტვრევს. არეულობა ძლიერდება. თაყვანის მცემლები ლორდ-მერ კიტტის გარს ეხვევიან და ოვაციებს უმართავენ. ბრბო ქუჩაზედ გამოდის და დემონსტრაციას მართავს. პროცესია სადგურისაკენ მიდის ამ სიმღერით):

„თბილისისკენ მივცოცავთ, მივცოცავთ!
და ერთმანეთს შევფიცავთ, შევფიცავთ,
რომ სუყველა ზომები,
თუნდ იყოს დაბეზღება
მიღებული იქნება!..“

სცენა სადგურზედ.

მანდილოსნების წარმომადგენელი. (თავითხელით ხელში მიპართავს ლორდ მერს) მიიღეთ ჩვენი უკანასკნელი სალომი!

ლორდ-მერ კიტტი. (გულზედ ხელს იდებს) გბადლობთ!..

მოწყალების და. (მართმევეს ოქრო მედლით ნაკერ ბალიშს და აცრემლეებული წარმოსთქვამს)

„სულთი და გულთი მიძღვნილი,
მკირედიც შეიწირების“.

ლორდ-მერ კიტტი. (ბალიშს გულში ჩაიკრავს და ჰკოცნის).

მისტერ ანბანიძე. მირთვით ჩემი „ლექსიკონი“. (შიგა სწერია ყველა ჯურის გინება. ამასთანივე გადასცემს ერთ ბლუჯა კორესპონდენტებს).

ლორდ-მერ კიტტი. ჩემო ძვირფასო! (მხურვალედ ჰკოცნის და უხვად ასაჩუქრებს ქანქარით).

ღონ-ცერცვიანო. (ანერებს მატარებელს, რომელიც უკვე დაიძრა) დიდებულო ლორდ-მერ! აღსრულდა! გავარდა მები ჩამოცვიდნენ ვარსკვლავები! დაბეზღდა მზე და მთვარე! მაშ მიდიხარ? მიდიხარ! აღარ იშლი? ხალხო და ჯამაათხო „სიკეთე მიდის—ბოროტება აქ რჩება!“ (ამ დროს მატარებელი უკვე დაიძვრის).

ლორდ-მერ კიტტი. (პირველი კლასის ვაგონიდან) მშვიდობით! მშვიდობით! (დაბლა დიდინებს. „თბილისისკენ მივცოცავთ, მივცოცავთ!“)

პირველი ხმა. ყველაფერი მოახსენეთ! კარგად მოახსენეთ! ვოლოგდა არ დაგავიწყდეთ!..

მეორე ხმა. 1905 წ. არ დაგავიწყდეთ... სუყველაფერი მოახსენეთ!..

მესამე ხმა. დერეფნის ზარს მგერა ჩამოჰკაიროს!

მეოთხე ხმა. „ნემკა!“ „ნემკა!“ არ დაგავიწყდეთ!..

ლორდ-მერ კიტტი. (მატარებელი შოუჩქარებს) მშვიდობით!.. მშვიდობით სუყველაფერს მოვახსენებ... სუ...ყვე...ლაფ...ერს... (ხმა იკარგება... მატარებელი აღარა სჩანს, „საზოგადოება“ დიდხანს არ იშლება. მოწყალების დანი და მანდილოსნები ხელსახოცით ცრემლებს იშრობენ).

ლახვარი.

რა გამშვენებს ველისცხენე?

რა გამშვენებს და გამკობს? ეგ შენი კობტა მამა.

რით? და მით, რომ არ უყვარს სოფლის ფულების ჭამა.

მერე გშვენის მწერალი შინჯიაშვილი ლადო, ან იმაზე ვინ ტყვის, რომ ბევრი ფული ჩაღო?

მერე ეგ ტერტერები: ბაგრაძა და სიმონა, ვითომ კარტს თამაშობდნენ???

აბა, ვინ გაიგონა!!! მერე მისწავლებლები:

ვალარშაკა და საშაკა ვერც იმათზე ითქმება, რომ არ უყვარვთ „ბაშაკა“.

მერე არშაკ სარქისიჩი, ის ჩენი „გლუჯას ბიჭი“... სტყუიან, ჩარჩოპაში,

ეჩინოს დიდი ნიჭი. მერე გშვენის შალიკო, ბობ ხმინა ელიზბარი,

„ატჩაიანი“ * „ატჩაგო“ * ზურაბას დახლიდარი.

მერე გშვენის და გამკობს ეგ შენი კობტა კლუბი, რომელშიც იმართება აყალ-მაყალი, ჩხუბი.

მერე გშვენის და გამკობს ეგ შენი „ცივი წყალი“

*) სიტყვა „ატჩაგო“ ადგილობრივ მკლგ აზნაურის მეტი სახელი ვახლავთ.

გაზაფხულობით მღვრიე,
 ზაფხულში კი დამშრალი.
 და ბოლოს სულ გამშვენებს
 ქერემის ღიღი ხევი...
 თუ გახსოვს გაზაფხულზე
 შენ იმას ქვეშ მოყვები,
 მაგრამ ჰშვენის თბილისსაც
 სარიფეი „კუთა“,
 იქ რიყეში, რომ ვაქრობს
 ნემეტური „ქაქუთა“.

მეზი.



ქათმის ფერხვა*.

(გურჯული სცენა)

ღმერთმა ყოლიკაცი დავიფაროს ისტიბარ გა-
 ტხილი და ვორსპი ცოლისაგან! ამისან ქათმის
 ფერხვა ჩემ მტერს გუუთენოს ღმერთმა, ჩემმა ცო-
 ლმა ქანქლოიამ რო გამოთენა!

კლანდა ყალიაზე გავითენე! დაქუეული დროი
 კია, მარა, ვიფიქრე, რომ ვიტრო, ამით მაინც
 აფერი გაკეთდება მეოქინ; ჩიჩილაკიც კი ვაფაწყვე,
 ღორის თავი, კვინქია, მოკელი, სურო, კურ-
 კანტელი, აბრეშუმი და, ერთი სიტყვით სიღარი-
 ბის ყველაფერი მქონდა, სულ სიცილ კირაკცში
 დავაღამეთ კლანდა მე და ჩემმა მომჯაყველმა
 ქანქლოიამ. საღამოს უთხარი ქალს.

— ბეჩა, ქანქლოია, ხვალ რომ ქათმის ფერხ-
 ხვა არის, ხომ იცი და მფერხავი უნდა დავაიჯოთ
 ვინმე მეოქინ*.

*) „ქათმის ფერხვა“ ესე ფგი ქათმის ბედობა დღე გუ-
 რიაში კლანდის მეორე დღეა, ამ დღისთვის წინდაწინ მოი-
 პატრეებენ ვინმეს „პარგი ფეხისას“, რომელიც ამ დღეს, დი-
 ლით ადრე მთვა ოჯახში და „ფერხავს“. შინაურსაც შეუძ-
 ლია იყოს მისივე ოჯახის მფერხავი, ხოლო დამე ვინმესას
 უნდა დარჩეს, ან თავის ბედელში, ან ნაღიაში.

— დავპატროვო, მარა ვის დაბაიჯებ, რომ
 ხეირიანი არაკაცია ახლა სახლში, დაჯინდილი, ყვე-
 ლა ვინშია და უხეიროს რაფა მფერხავს თუჯახში?

— აფერ კოწივს ბიჭი, სევასტე დავაიჯოთ.
 — უი, აგი რა მითხარი, იმ ფეხ მოქუეულს
 რაფა ჩამოუშობ ეზოში, თელ წელიწადში ფეხმოქ-
 ცუელი ქათმები გვეყოლებოა.

— აბა, ვარლამივს ივანიკაი დავაიჯოთ.
 — უი! იგი ბრუციანია, არ ვარგა ბრუციანი
 ქათმები გვეყოლებოა.

— აბა, გოჯასპეს ესიკელია დავაიჯოთ.
 — იგი ცხვიპირ მოსკიპარქებული რაფა მინდა
 მფერხავთ.

— აბა, რა გინდა, შენ შეჩვენებულო ქანქ-
 ლოია, ჩვენში აგენია, და კარგები ხომ ვინშია
 ყველაი, რაფა ფიქრობ, ვინიდან კი არაკაცი გა-
 მოგვიხანის მფერხავს.

— თუ არ გამოიძახენის, ისეც კი მუახერ-
 ხებთ რამეს.

— უი, ახლა გამახსენდა, მართლა, აფერ ჩვე-
 ნი ერმალივს კარკოიე, მშვენიერი ბიჭია, იმას მა-
 ინც ხომ არაფერი აქ მოქუეული?

— არა, იგი სხვისი მფერხავი არის.
 — რა იცი შენ, ქალო?

— რა ვიცი და დღეს რომ მომილოცა საყ-
 დარზე კლანდა, მაშინ მითხრა.

— აბა, რა ვქნათ ახლა?

— ერთი ქენი შენ, ამელამ ნალიაში ვაათიე
 დამე და დილას ადრე შენ გვიფერხე, შენზე უკე-
 თესი ვინ მყავს, ფეხი არ გაქ მოქუეული და ცხვი-
 პირი.

— კი, მსეე იყოს, თუ ჩემს იქით არ არის
 საშეგო.

— ახლა იცი რანაირად უნდა მექუე ხვალ?
 დილას ადრე შემოდი სახლში, კვახს მოგცემ ხელ-
 ში სიმინდით და ღომით ვაფხებულს, სამჯერ ჩა-
 მუუარე სახლს და იმაზე: „ღმერთო ვაგვიმრავლე,
 ფრინველები, ათასი ქათამი, ათასი ბატი, ათასი
 ინდოური, ათასი კვატია და სხვა“...

— ოი, შენ გამოგაჩერებტებს ღმერთი, იან-
 გარიშე შენ შტერო, რამდენი ათასი შედგა მაგი
 ახლა: ათასი ქათამი, ათასი ბატი, ამდენი ინდოუ-
 რი, ამდენი კვატია, ავი ხომ ოთხი ათასი არის და
 ოთხი ათასი ფრინველის სიმინდი კი არა, მარტამ-
 დე არ გვეყოფა წროულს მკადი, ღმერთმა დეფა-
 როს ამდენი რომ გამრავლდეს, თვარა ერთი სა-

ბანე სიმინდი ქათმებს არ ეყოფა. არა, მაგას ვერ ვიტყვი, ასეც კი გვეყოფა.

— არა, ბენა, აი, ასე უნდა თქვა, თვარა მართლა ამდენს კი არ გავვიზარალებს.

— აბა, რას ატარტარებ მაგ ენას.

ვეკიდებ ლეზი და საბანი და გუუუყვივი ნალია-ში... მომიძახა, ხვალე ერთ სკამზე დიკოსეს სულ, თვარა ქათმები ბუღღში ერთს აღარ დადებენო. კაი, კაი მე ყველაფერს ვიზამ, შენ იყავი ქსოვით სახლში და ხვალე სადილიათ ერთი კაი ჩაზუბზუბებული „საკავავი“*) რომ ვაყავით იგი მაქამე მეთქინ. დავეწვი ნალიაში, ჩემ მტერს გუუუთენდა იმი-სთანს თამე! რომ მომიჭირა სიცვიემ, მამაგამა, მამაგამა! აბა ძილი რაფა მომივიღოდა თვალში. ერთი სული მქონდა, სანამდი გათენდებოდა, ამეს-ვარა თავში ფიქრები, ცაის, ბარის, რაც უბედურება გადამწყვეტია, ყველა იმ ღამეს მომაგონდა. რავარც იქნა, იყვილა მამალმა მეორე... მოვრჩი კაცი, წამოვდექი ზედ, როგორც გინახავს კეტარი კატა, ისე ვიყავი სიცვიით გაფიქრებული. შევიჩქ-მიტ-შემოვიჩქმითე ცხვიბირი, მივიფშენე მევიფშე-ნი ხელემი, შუუუბტი, შამოუბტი, პაწი ქე შევთ-ფი... მოვხვიე საბანს ხელი და წვევილი სახლისკენ საფერხავათ. შევედი ნულა პარამალში... ბიკოს!! რაცხა პუტუნ-პუტუნი მომესმა სახლიდან: „არიკა კარკოია, აწო უშველე თავს, წიდი, თვარა, ჩემი ქმარი საცხაა, მოვაო“.

ერი, ჰააა! ჩემ ცოლს ვილაცა „მფერხავი“ ყოლია წუხელის მეთქინ, ვიფიქრე. წამუავლე ხე-ლი დიდ ჯოხს. მე შენ გიჩენებ სერის, ვინცხა ხარ მეთქინ, ვფეთქე კარები და შევარდი შით. უიო, იკვილა ქანქლოიამ. წამუარა ზეთ ვინცხა ყაბახი, დაატანა ხელი ტანისამოს და მიბრბის... ვერ წამიხვალ მეთქინ, ვუყვივრე და მივაყოლე და მივა-ყოლე კოჭებში, ბეკებში; შენ ხარ ჩემი საფერხავი, აბა ნახე, რაფა დაგფერხავო მეთქინ: იბლორინა და იბლორინა, შვლიკა და გავარდა კარში. ახლა მოვ-დექი ჩემს ქანქლოიას, მოგვდა ლენა, მაგრამ დას-წყვევლის ღმერთმა ქალის გუჯაბი და სახსენებენ-ლი, თავის მართლება არ დიფუყო!! ბენა, გუშინ კი მითხრა ვარი კარკოიამ, მარა, იქინე აღარ წა-სულიყო და ჩვენსას მევიდა და შენ მფერხავი გა-ლახე, არ გცხენიაო. აი, შენ ოროსპო, რაფა ბე-

*) საკავავი ქათმების კუჭ-ფილტვებისაგან და თავფე-ხისაგან გაკეთებულ საკმელს ჰქვია, რომელსაც მფერხავს აბეწვენ.

დავ მაგას კილომ მეთქინ, თუ მფერხავი იყო, შენ-თან რა უნდოდა ლოგინში მეთქინე ვუფიქარი და ვუძინიკე და ვუძინიკე ზრუგში, დაღწერილი კარგათ და აფანთე მერე სანთელი. რას ვებდავ, თურმე, ნუ იტვი, იმიზა ვამაგზავნა ნალიაში ჩემმა ქანქ-ლოიამ, და იმიზა დიფურა პირფერობაი კარკოიე, რომ მას ყოლია მოპამინებული, მე რომ წავსულ-ვარ ნალიაში, მობრძანებულა ის ბატონ კაცი, ქანქლოიას გუუუწყია სუფრა კალანდის ყაიდაზე, აი ჩემი „საკავავი“ მას მუუთმევი, მე ამ დროს ნალიაში მამაგამაგებდა სიცვიით... მოდი და ახლა ენდევ აწი კილომ ქალს. ასე უბედურათ ჩვიარა ჩემი ქათმისფერხვა წრიაულს.

ლუკიეს ობოლი.



დებეშები.

თელავი. ქალაქ თელავში უკვე შეუდგენ რე-მონტების და თხრილების კეთებას ყოველ შემთხ-ვევისთვის, — მაწანწარაზე საკმაო ქაობებია, ისე რომ მტერი თუ ჰაერობლანით არა სხვაფრივ ვერ შემოვა. რიყის ქუჩებში და ბარბანშიაც აღიგ-ალავ დაშაფერებული თხრილებია სადარაჯოთ.

პროექტორ „ლირამ“ შემოუსავლობის გამო „კაბტილია“-ც გამართა, რადგან ვიჩინების (შაშ-ხების) სეზონი დაიწყო. იათბეს შესაბოლო შეხხებს ღამის 7 საათიდან 11 საათამდის.

რაც პრაპორშჩიკების შკოლა გაიხსნა, ცოტა მხიარულდება დაეტყო ქალაქს. (თუ შეიძლება თე-ლავს ქალაქი ვუწოდოთ) „ВЛЮБЛЕННЫЕ ПАРОЧ-КИ“-ები გამრავლდენ. ხშირათ გაიხსნის გიტარაზე ბლუზულის ხმით დანამტერები: „წაქნაჲნი пра-поршики армейский сталь ухаживать за мной“.

თელავის სამკითხველოს გამგეობამ გადასწყვიტა: სამკითხველოსთვის მეორე ოთახიც დაიჭირა- ვეს მკითხველთა სიმრავლისაგან გამოწვეულ სი- ვიწროვის გამო.

—

სამეგრელო. მოზარდ თაობათა ზნეობრივ ფი- ზიკურ გადაწრთენელათ ს. ბიაში ცნობილმა პლა- ტონ ნადირაიამ ამ დღეებში გახსნა კურსები და- იწყო მიღება მსურველთა. მომზადების საქმე პირ- დაპირ პრაქტიკული ხასიათისაა. ყოველივე მავა- ლითს, თვით აძლევს, მზა-მზარეულად. ასე, რომ მეცადინება ნაკლებ დასჭირდება შკოლის გარე- შე. ზნეობრივი აღზრდა უმთავრესად გინებაში გა- მოიხატება... ლექსიკონი ერთობ მდიდარია. გვერ- დების ზედა „მეშტებით“ (ხშირად ფეხითაც), მა- გიერ, უმეწინეთ თმის აძრობა და სხვა. ჯერ-ჯე- რობით სმეგო რიცხვი მსურველთა არ არის, მაგ- რამ იმედია შემდეგ მოიკლებს. მიმართვა წერილ- ტელეგრაფითაც შეიძლება ს. ბიაში პირდაპირ.

— **ხად. ახალ-ხენაკი.** თოფურია — მეგრუ- ლად — „თაფლი“ მართალია რკინის გზის კასირ- შა ამ გვიარისა, ყმაწვილებს სისათვლით აწვდის ბილიეთებს, ხოლო ქალებს და გაუჭირებულ ხალას სიმწარით, მისთვის რომ თუ ხალხს ეჩქარება მა- ტარებელს გაყვეს — მისაც ეჩქარება ყმაწვილებს ეარშიყოს და ბურდა ხალხს არ მისცეს. ამის გა- მო მას გვიარი გამოუცვალეს და „თოფურიას“ მა- გიერ „სიმწარია“ დაარქვეს.

ტყაში-მავა.



ავტორი ეხებოდა ბუქნარში მცხიერებე ორ პიროვნებას და მათ წინააღმდეგ შეუფერებელ ბრალდებებს აყენებდა. თუმცე „მართალი“ სახელი და გვარი იქ არ იყო აღნიშნული დამნაშავე პი- რების, მია ყველა ადგილობრივი მკითხველი მიხე- დებოდა თუ ვინ ყავდა მხედველობაში ავტორს.

ყველა იმ ბრალდებებიდან, (რომელსაც ავ- ტორი ასახელებდა) ყურადღების ღირსია მხოლოდ ის ნაწილი, სადაც სწერია: „ამ ორი პირის წყა- ლობით ბევრმა ციხე და გადასახლება იცემო“ და თან დასძენს ამ ორი პირის წყალობით ვისმეს პა- ტიოსანი კაცის ოჯახი „აწოაკებულებიყოს“.

ჩვენ საყოველთაოდ ვაცხადებთ: ანას დროს იმ ორ პირს, (რომელიც ავტორს ყავს მხედველობაში და რომელიც მისი ლექსიდან იგულისხმება) არც ჯაშუშობა და არც არავის პა- ტიოსანი კაცის გადასახლება არ დამტკიცებიათ და არც არავის პატიოსანი კაცის ოჯახი არ აუწო- კებიათ.

ჩვენ ხილისთავ-ბუქნარის „თანამედროვე აზ- რის“ თანამოაზრენი პროტესტს ვაცხადებთ ყველა ისეთი კორესპონდენტების წინააღმდეგ, რომლებიც შეუფერებლად და უდანაშაულოთ გასთელვენ ვის- მეს პიროვნებას.

ხილისთავ-ბუქნარის „თან. აზრის“ თანამოაზრენი.

„უშმაკის მთარახის“ რედაქცია მიადებს შესაფერ ზომებს სანამდვიდეს აღსადგენად და თუ აღნიშნული კორესპონდენცა რაიმე პირად საფუფელზე იყო აკეუ- ლი, საჭირო მუჯანსაც დასდებს თავისს კორესპონდენტს. ამ მიზნის მისაღწევათ ურავო არ ეჩქარება ზემოაღ- ნიშნულ წერილის ავტორი ხადისთავ-ბუქნარიდან თავისს საბუთებო გაუზიარებათ ჩვენს რედაქციასთვის. პრო- ტესტიც ვარცა საქმა, რა თქმა უნდა, მაგრამ სამართ- ლიანობის ადგენას არც საბუთებო შეუშლიდა სქას.

—

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი მისცეთ შემდეგ წერილს: როგორც იქნა თითქმის სამი თვის შემდეგ ბ. ისარბო გველორსა პასუხი.

ორი წლის წინად დაიბადა აზრი დიდი-ჯი- ხიშიმ დეარსებით პირველ-დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. მე სხვებთან ერთად უპიროტესტობას ვაძლევდი ერთ-ერთ პრაფესიონალურ სასწავლე- ბელს და კერძო საუბრის დროს ვურჩევდი (რაც ჩემთვის საზარალო იყო) ხალხს გაცხსნათ ასეთი

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რ. უმოჩილილესათ გთხოვთ ადგილი დაუთ- მათ ამ პატარა წერილს. „უშმაკის მთარახის“ № 29-ში მოთავსებული იყო პატარა ლექსი ს. ბუქ- ნარისათვის ვილაც კოსანდილეს ფსევდონიმით.

სასწ., რადგანაც ღმრისა მწესის, რომ პრათესიონაჟურ-
 რი სასწ. კავილებით მუტ სამსახურს გაუწევს სოფლის
 ღატაკ ხაღსს, ვიდრე პირველ-დაწყებითა უმაღლესი.
 ბ. ისარს, რომ ფაქტი სისწორით აღენიშნა, მე
 მაშინ საწინააღმდეგო რა შექნებოდა, მაგრამ მან
 ბოროტი განზრახვით ჩემენ ვაღმოსიროლა ტალა-
 ხი და ეგონა ამით გათავდებოდა საქმე, მაგრამ
 მოტყუებდა ანგარიშში, ჩვენ მოვთხოვეთ დასახე-
 ლოს ის „ზოგი მასწავლებელი“ და ბრალდება
 გარკვეულად დააყენოს. მას საგრძნობი ხნის შემ-
 დგე მიკიბულ-მოკიბული პასუხი გაუგზავნია, რომ
 პასუხისგებას დასძრობოდა, რაც სწანს „ემმ. მათ“.
 ფოსტადან, № 31. ჩვენ კიდევ ერთი თვე ვუცა-
 დეთ ბ. ისარს და რადგან არ ამოიღო ხმა, მიე-
 მართეთ რამდენიმე პირს ეკისრნათ ჩვენი მედი-
 ტორობა. ამან აიძულა ბ. ისარი ამტყუებულუ-
 ყო, თორემ კიდევ კარგა ხანს არ ამოიღებდა თა-
 ვის თემისტოკლისებურ თავს „ორფიას“ უბიდან.
 გავცუა პასუხი, მაგრამ თავისებურად, ეშმაკურად,
 გამოსაძრობი დაიტოვა. რომ მოუსპო ეს გზა ბ.
 ისარს, ვუცხად ულტიმატუმს—დამიმტკიცოს, რომ
 მე ვიყავი წინააღმდეგი მასწავლებლის რაიმე პი-
 რადი ანგარიშით. რაც შეეხება ს. ლოლაბერიძეს,
 მისი დასახელება, როგორც მე, ისე სხვებსაც ათ-
 ცებს—ჩვენ მიველოდით ბერი ვინმეს დასახელე-
 ბას, მხოლოდ მისას კი არა, ისიც თანახმაა ჩემ-
 თან ერთად ავგოს პასუხი ბრალდებაზე.

მედიატორებად ვასახელებ ექიმ. თ. მესხს და
 მასწ. ალ. ლეჩავას. ვთხოვ ბ. ისარს „ემმ. მათ“
 შემდეგ №-ში დასახელოს თავის მხრივ მედიატო-
 რებები, ნუ იწებებს თავისებურად საქმის გაქინაჟ-
 რებას, თორემ, რაც უნდა ეცადოს, პასუხისგებას
 მაინც ვერ აცდებია.

მასწ. ილიკო მოს. ქუთათელიძე.


ბ-ნო რედაქტორო!

17 ამა თვესა „ემშაკის მათრახში“ მოთავსე-
 ბული იყო გამოცანა ბ-ნი ისკანდერისა სასტუმ-
 როს „სადერეატელის“ შესახებ. მიკვირს თუ საიდან
 შეთხზა—ასეთი ქორები. მომისმინე შეთხვევლო და
 იმეღია დამერწმუნები, არ მომხდარა არაფერი ისე-
 თი, რაც ბ. ისკანდერს მოუწმხავს.

ჩვენ ამხანაგებმა ხაზეინის თანაშემწეობით
 დღიურ შემოსავლიდან მანეთზე 10 პროცენტს
 მტოვებდით, რომლითაც სამი თვის შემდეგ მოგ-
 როვდა 119 მან. და 95 კაპ. ეს ფული ჩვენ თი-


თონ უნდა გადავგვზავნა და გავგზავნეთ კიდევ 9
 იანვ. თიფლის პრავ. გრუზისკაგო ბილაგო.
 О-ва. რომელსაც მთელი სია ამხანაგობის სახელი
 და გვიარი მიუწერე. მასთან ვთხოვდი გაზეთებში
 გამოცხადებოდათ ამხანაგების საყურადღებოდ. რო-
 მელიც დღეს დღეობით არაა გამოცხადებული და
 მაქვს იმედი იქნება. მაგრამ რამ აიძულა ბ-ნი ის-
 კანდერი ასეთი ცილის წამებისთვის? როდის მოხ-
 და ხელათ ფულის მოგროვება, როდის ჩააბარა
 მოსამსახურებმა „სადერეატელს“ ფული, როდის და-
 აკისრა გავზავნა, როდის გაუგზავნეთ დებუტაცია
 „სადერეატელს“? ან საიდან დაბრუნდა დებუტაცია
 არ გამახილოთ თორემ ყველას დაგივთხოვთ? საი-
 დან შეამკო ესეთი ცილისწამება ბ. ისკანდერმა.
 ნუთუ ამაზე პასუხი არ უნდა ავგოს ბ. დამწერმა
 რომელიც უსახელოთ აწერს ხელს, ამისათვის ვთხოვ
 ბ. ისკანდერს, რადგან ასეთი ცილისწამებაზე კი
 მიიღო შრომა, ეხლა გვივგოს პასუხი მედიატორუ-
 ლი წესით რამდენათ მართალი არის, და თუ კი
 ასეთი ცილისწამებაში „სადერეატელი“ გამართლდეს
 იმ შემთხვევაში დაშნაშვემ გადაიხადოს ჯარიმა
 ასი მანეთი (100 მ.) ხუთი თუმანი ომიანობიდან
 დაჩენილ წვრილ კოლ-შვილ და ოზოლის სა-
 სარგებლოთ, ხუთი თუმანი წყალ-დილოზისგან და-
 ზარალებულთათვის. ამისათვის ვსთხოვ ბ.—ბ. ეშ-
 მაკის მათრახის რედაქტორს, აქნოს დამწერს და
 ვაძლევ ორი კვირის ვადას, დღიდან ამ წერილს
 დაბეჭდვისას. დასახელოს თავის მედიატორები და
 მე ჩემს მედიატორებს დავსახელებ წინააღმდეგ,
 შემთხვევაში იძულებული ვიქნები მიმართო სხვა
 საშვალებას.

იასონ ნეგ. კახიანი.





ტ.კ.ა.



ამ სასახლეს არასოდეს არ მოსწრია ამდენი ავტომობილით მნახველები.

არკადი. სად აპირობ გრიგორჯან ამ საღამოთი ახალ კოსტიუმით?

გრიგორი. არ ვიცი ღმერთმანი: ჩკავკაზსკოე სლოვოს“ სხდომა, საქველმოქმედო საზოგადოებაში კრება გვაქვს, ლაზარეთს დახედვა უნდა... შენ საით?

არკადი. არც მე ვიცი რომელ ერთს გავწვდე. სამხედრო სამრეწველო კომიტეტში ყველაზე მეტათ მიმიწევს გული. საჭიროა ხალხის სულიერი სიმტკიცის დაცვა.

ამ ნომრისათვის დამზადებული რამდენიმე კარიკატურა ვერ იბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.